ხელშეკრულება

სამედიცინო მომსახურების შესახებ

ქ. თბილისი 15 ივლისი 2013 წელი

ერთის მხრივ, **შ.პ.ს. „ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის სეფსის საწინააღმდეგო ცენტრი"** (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის ომარ ქუტიძის სახით, და მეორე მხრივ, **შპს „ავერსის კლინიკა"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენ. დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის სახით, ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია: **ჯანდაცვის სამსახურის მომსახურებების** (CPV კოდი - 85100000) (შემდგომში „მომსახურება") შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. მომსახურების დასახელება, რაოდენობა და ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში №1, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **4000.00** (ოთხი ათასი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე ხელმოწერიდან არაუგვიანეს 15 დღის განმავლობაში.

4. მომსახურების მიღება ჩაბარების წესი

4.1. მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №27ბ

5.2. მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 2 კალენდარულ დღეში, მომართვის ფორმით გამოგზავნილ პაციენტებისათვის, 2013 წლის 31 დეკემბრამდე;

5.3. მომართვის ფორმაში მითითებული უნდა იყოს კონკრეტული პაციენტის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, გასაწევი საამედიცინო მომსახურება, მომართვის ფორმის ნიმუში თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის №1 სახით და წარმოადგენს მის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.1.1. შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აცნობოს შემსრულებელს ყველა სახის ცვლილების შესახებ, რაც დაკავშირებულია დამკვეთის სამართლებრივ სტატუსთან (მათ შორის ინფორმაცია დამკვეთის სამართლებრივი სტატუსის შეცვლის, რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელების და ა.შ. შესახებ) კონკრეტული ცვლილების განხორციელებამდე ან ცვლილების განხორციელებისთანავე დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილებების შესახებ შეუტყობინებლობის ან არადროულად შეტყობინების შედეგად შემსრულებელს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი, შემსრულებელი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია აუნაზღაუროს შემსრულებელს მიყენებული ზარალი/ზიანი სრული მოცულობით.დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

6.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. მიაწოდოს შემსყიდველს მიაწოდოს მომსახურება ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;

6.5. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია

გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულების 3.3. პუნქტით განსაზღვრული ვადის დარღვევის შემთხვევაში შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ამ შემთხვევაში დამკვეთი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, გადასახდელი თანხის 0.5% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ამასთან, დამკვეთი არ თავისუფლდება შემსრულებლის მიერ მიწოდებული ანგარშ-ფაქტურით/ინვოისით გათვალისწინებული თანხის გადახდისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

8.2. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

8.3. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაჭრის გზები

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შ.პ.ს. „ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის სეფსის საწინააღმდეგო ცენტრი" საიდენტიფიკაციო კოდი: 212153747 მის:ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №16 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ბაზის ბანკი" ბანკისკოდი:GBASGE22 ანგარიშის ნომ: GE43BS0000000025536773	შპს „ავერსის კლინიკა" საიდენტიფიკაციო კოდი: 212002580 მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #27ბ **საბანკო რეკვიზიტები: სს საქართველოს ბანკი** ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის ნომ: GE05BG0000000170821600 ტელ: 2 39 98 88

დირექტორი ომარ ქუტიძე

დირექტორი დიმიტრი ჯორბენაძე